# იმერეთი

ყოველდღიური გაზეთი

ფასი:
წლიურათ . . . . . . . 7 მანეთი
ნახევარი წლით . . . . . . 4 მანეთი
თვიურათ . . . . . . . . 3 აბაზი
ცალკე ნომრის ერთი შაური.
წლიური ხელის მომწერლებს გაზეთის ფასი შეუძლიათ ნაწილ-ნაწილათ გადაიხადონ. ხელის მოწერის დროს 3 მანეთი დანარჩენი კიდევ ნაწილ-ნაწილათ. საზღვარგარეთ წლიურათ 14 მან., ნახევარი წლით 8 მან., თვიურათ 6 აბაზი.

№ 130
წელიწადი მეორე
1913
პარასკევი, 23 აგვისტო.
მისამართი: Кутаисъ, редакція газ. „ИМЕРЕТИ".
ტელეფონი № 149.



მიიღება ხელის მოწერა 1913 წლისთვის ყოველდღიურ გაზეთზე
წელიწადი მეორე
1913 **იმერეთი**

**გაზეთის ფასი:**
ერთი წლით . . . 7 მანეთი,
ნახევარი წლით . . . 4 მანეთი.
ერთი თვით. . . . 3 აბაზი.
და ცალკე ნუმრის . . . 1 შაური,

სამგლოვიარო განცხადების თითო დაბეჭდვა—სამი მანეთი.
**განცხადების ფასი:** პირველ გვერდზე პეტიტის ანგარიშით პწკარი ღირს 3 შაურათ მეოთხეზე—ორ შაურათ, შიგნით გვერდზე მორიგებით. შრომის მაძებართა განცხადება—ნახევარ ფასათ.
გაზეთის დასაკვეთი ფასი და აგრეთვე სხვა ანგარიშებიც უსათუოთ ამ მისამართით უნდა გამოიგზავნოს: Кутаисъ редакція газеты „ИМЕРЕТИ"
სხვანაირათ გამოგზავნილ ფულს რედაქცია ვერ მიიღებს.


აზნ. გიორგი დიმიტრის ძე ტყავაძე და მეუღლე მისი ესმა კახიძის ასული, მანუჩარ ტყავაძე და მეუღლე მისი ანეტა მესხის ასული, ნინო, დიმიტრი, სტუდ. მიშა, ვერა და სხვანი გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ: პირველნი ძვირფასი შვილის, მეორენი საყვარელი ძმისწულისა, ხოლო უკანასკნელნი დაუვიწყარი დის

**მარუსა ტყავაძის ასულის**

გარდაცვალებას, დაკრძალვა მოხდება სოფ. ჭალასთავში, 23 აგვისტოს.


## ექიმი ვალერიან ლორთქიფანიძე
**ლებულობს შინაგან, ბავშვებისა და ნერვების ავათმყოფებს.**
**იქვე დიაგნოსტური კაბინეტი·**
ყოველგვა **შარდის** (ვენერიული, ბუშტის, თირკმლების, შაქრის, ქარების და თირკმლების, ქვის და ხრწნის გამოკვლება).
**ნახველის** (ჭლექი, ფილტვების ანთება, ინფლუენცა, აქტინომიკოზი და სხვ..)
**სისხლის** (მალარია, ტიფი და სიფილისის გვარი ეფისობისა).
**კუჭის სითხის** (კუჭის კატარი, მისი მუწუკი, კიბო და სხვა).
**ეკსკრემენტების** (ნაწლავების პარაზიტების და მის კვერცხებზე).
**ჩირქის** (ჭლექი, დიფტერიტი და სხვა).
**ჭიის რძის.**
**ადრესი:** პუშკინის ქუჩა, ვიტუშინსკის სახლი, აფთიაქის ზევით.

ქუთაისის სამეურნეო
## შკოლის მართველი
**ამით აცხადებს, რომ მისაღები ეგზამენები ხსენებული შკოლის მოსამზადებელ და პირველ კლასებში დაინიშნულია 27-28 ამა აგვისტოს.**

## თ. ა. მთავრიშვილის წიგნის მაღაზია
უწყებს მასწავლებლებს, მოსწავლეებს და პროვინციის წიგნის მაღაზიებს, რომ ამა 1913—14 სასწავლო წლისთვის დამზადებული აქვს
**დიდძალი სახელმძღვანელო და სხვა წიგნები,**
რომლის იხმარება ქალაქ ქუთაისისა და ქუთაისის გუბერნიის დაბალსა და საშუალო სასწავლებლებში.
**ფასები საკმაოდ დაკლებულია.**
პროვინციის მაღაზიებს შეუძლიათ წიგნებთან ერთად მოითხოვონ ჩვენგან სხვა სასწავლო ნივთები: **რვეულები, კალმები, კალმის ტარები, კარანდაშები, სახაზავები და სხ.,** რასაც ძალიან დაკლებულ ფასად მიიღებენ **გოგოლის საკანცელარიო მაღაზიიდან.**
მისამართი: **ქუთაისი, ალექსანდრეს ქუჩა, ბოჟაძის სახლი, ბულვართან.**

## ახალი წიგნის მაღაზია
**კ. ი. ოცხელისა**
ქუთაისში ალექსანდრეს ქუჩაზე ზ. კოკოჩაშვილის სახლში გაიხსნა
# უდიდესი
## წიგნის მაღაზია
**კონსტანტინე ივანეს ძის ოცხელისა.**
ახალ მაღაზიას შეძენილი აქვს მეტათ მრავალი სახელმძღვანელო და საკითხავი წიგნი.
ახალ მაღაზიას სურს შეამაგლობა გაუწიოს პროვინციის წიგნის მაღაზიებს, სასწავლებლებსა და წიგნსაცავებს, რომელთაც დაეთმობათ წიგნები, რაც შეიძლება, ფას-დაკლებით. ამაზე ყველა დარწმუნდება მაღაზიის პირდაპირი გაცნობით.
ახალი მაღაზია გახსნილია იქ, სადაც აქამდი მთავრიშვილის ყოფილი ამხანაგობის წიგნის მაღაზია არსებობდა; მის გვერდით გამართულია დ. ი. ოცხელის სპეციალური საკანცელარიო მაღაზია, სადაც მოიპოება ყოველნაირი სასწავლო ნივთი მლიერ იაფათ.

## განცხადება
ქალთა ორ კლასიან სასწავლებელში პროფესიონალური განყოფილებით 1 სეკტემბრიდან
**იხსნება მესამე კლასი:**
მოწაფეების მიღება დაიწყება 20 აგვისტოდან. სასწავლებელი იმყოფება უწინდელ ბინაზე: თფილისის ქუჩა, ნიჟარაძის სახლი, № 46.
სასწავლებლის გამგე: ნ. ლ. მიქელაძის ასული დადიანისა.

## 1913 წლის 1 ენკენისთვიდან
ქუთაისში, ოპერის ქუჩაზე პროვიზ. ფ. ა. რელიგიონის სახლში, თეთრ ხიდთან გაიხსნება
# პირველი კერძო საავადმყოფო
**სპეციალისტი ექიმების მუდმივი საწოლებით.**
საავადმყოფო მოახდენს ანალიზს: შარდის, ნახველის, სისხლისა და სხვ. ძიებას გასინჯვა, ვეველის ..., კონსულტაციური 606 და 914 შესხმა, არის განკარძოებული ოთახები მძიმე ავადმყოფთა და მშობიარეთათვის. მუდმივი მორიგეობა ექიმებისა.
დამფუძნებელი ექიმები: ექ. გ. ა. ჭოდოშვილი, — ს. ს. ხოშტარია, — ც. ი. ბეთანელი, — დ. ი. ჯაფარიძე.

## ქუთაისის ქალთა ოთხ კლასიანი პროგიმნაზია
**მარიამ კვინიხიძის ასულისა**
გადაიტანა იმავე თფილისის ქუჩაზე ოპერონის შესახვევის კუთხეში, გამრეკელის შენობაში.
მოწაფეების მიღება და გამოსაცდელი ეგზამენები დაიწყება 23 აგვისტოდან. სასწავლებელთან იქნება საანბანო განყოფილებაც, სადაც მიიღებენ მოუმზადებელ ბავშვებს. (азбучное отдѣленіе.)

## ქუთაისის საფირხეიის სამზრუნველო კომიტეტი
ამით აცხადებს, რომ 15 ენკენისთვეს, დილით 11 საათზე, ამ სასულიერო ეკლესიაში დანიშნულია საჯარო ვაჭრობით გაცემა:
**საფლავების გაჭრისა, სასაფლაოს დაცვისა და სხვა..**
ვაჭრობის დროს საწინდრათ საჭიროა 200 მ. დაწვრილებითი პირობების გაცნობა შეიძლება ბ. იოსებ გ. რიმაკაძესთან, სახაზინო პალატაში.

შინაგან სნეულებათა **ექიმი**
**ნიკ. ივ. შენგელია.** მიღება: დილით 9—11 ს., სად. 5—7. გენერლის (გოგებაშვილის) ქუჩა, საკ. სახლი.

**ექიმი** ვ. ა. ნემსაძე ლებულობს შინაგან სნეულებიან ავათმყოფებს ნაშუადღევის 3—6 საათ. თფილისის ქუჩა, ფირალოვის სახლი.

**ექიმი** კ. თ. ტუშელაშვილი.
ლებულობს ავათმყოფებს (**შინაგანი ვენერიული კანის**) ახალ ბინაზე: ვიტუშინსკის სახლი, აფთიაქის უკან. პუშკინის ქუჩიდან ტელეგრაფის შესახვევში.

**ექიმი ი. ჩარექოვი**
იღებს **კანისა და ვენერიულ ავათმყოფებს ახალ ბინაზე.** მხოლოდ დილით 12—2 ს., სად. 6—8 ს. სხვა დროს ექიმი საავათმყოფოშია.
მისამართი: გაგარინის ქუჩა, პოლიციის გვერდით, ფირალოვის სახლში.

## გამოცდილი მასწავლებელი ქალი
ასწავლის გერმანულ ენას თეორეტიულათა და პრაქტიკულათაც. იკითხეთ დვაშოვის ქუჩაზე სიმონ კოკოჩაშვილის სახლში.

**ექიმი** კ. ი. აშიანცი დაბრუნდა და ავათმყოფების მიღება განაახლა. ივანოვის ქ. ზ. აშიანცის სახლი.

## ქირავდება
ერთი ოთახი მეორე სართულზე ბალახვანის ქ. სახლი პ. ბოჭორიშვილის მსურველს შეუძლია მიმართოს იქვე ეზოში.

## იყიდება
ქუთაისში "პოდგორნი" ქუჩაზე რიონის პირისკენ ორსართულიანი ქვიტკირის სახლი სარდაფით.
მისამართი: „პოდგორნი" ქუჩაზე ზაინკალი (слесарь) ერმილე ქორიძე.


### ქუთაისი, 23 აგვისტო.

წელს ქუთაისში დრამატიული დასის უყოლობას ერთი არასასურველი შედეგი მოყვება თან და ამ საქმეს დროით უნდა ყურადღების მიპყრობა, რომ ხალხს, პროვინციის ნაწილს, დაბა-სოფლების მცხოვრებთ ქართული სცენის, ქართული წარმოდგენის ხალისი და სიყვარული არ შეუფერხონ.

საქმე ისაა, რომ მეორე-მესამე ხარისხოვანი მსახიობნი, რომელთაც ქუთაისის დასი თავს უყრიდა და შესაფერ საქმეს უჩენდა დასში, დღეს უსაქმოთ დარჩენილი, დაბა-სოფლებს მოედებიან და წარმოდგენების გამართვას არ მოაკლებენ.

ჩვენ ადრეც ვჩიოდით ამის გამო, რომ ასეთ მსახიობთ კანონით უკანონოთ აქვთ უფლება წარმოდგენების გამართვისა, ვითომდა, როგორც პროფესიონალურ არტისტებს.

ვიცით, ასეთი წარმოდგენები როგორ აფერხებენ ამ ეროვნულ დიდ საქმეს, როგორ უფუჭებენ გემოს ხალხს, როგორ უტყდება სახელი ქართულ თეატრს, ქართულ წარმოდგენას.

აი, ყოველი მხრიდან უკვე მოგვდის ცნობები, რომ ამა და ამ „მსახიობის" თაოსნობით და „რეჟისორობით" ამა და ამ დაბასა, თუ სოფელში იმართება წარმოდგენათ და ხშირათ გვწერენ—წარმოდგენა ცუდი იყო, ხალხი უკმაყოფილოთ დაიშალა...

ეს მოვლენა არაა სასურველი.., მშობლიური სცენა ზარალის მეტს არას იძენს ამით და დროით საჭიროა ყურადღება მიექცეს მას. დრამატიულმა საზოგადო-

ბამ, რაკი დასის ყოლა ვერ იკისრა, ამ მოვლენას მაინც ბრძოლა უნდა გაუწიოს ყოველი ძალ-ღონით, რომ თავწაყრით ყველას უფლება არ ქონდეს ,,თავის რეჟისორობით'' წარმოდგენებს გამართვისა. დრამატიულმა საზოგადოებამ შეიძლება კანონის წარმომადგენელთანაც იქონიოს დამოკიდებულობა და გარჩევით აძლიონ ასეთი წარმოდგენის ნებართვა, აძლიონ ისეთებს, ვინც მართლა ,,რეჟისორებს'' და რიგიან წარმოდგენას აჩვენებს პროვინციის ხალხს, რომელიც თეატრში მოწიწებით მოდის... სინანულით ნუ დავაბრუნებთ ამ ხალხს ამ წმინდა ხელოვნების ტაძრიდან.

## ახალი ამბავი.

იურიევიდან შემდეგი შინაარსის დეპეში მივიღეთ:

„ღრმათ დაგვალონა ძვირფასი მეგობრისა და ამხანაგის აქ. პახომ ხუნდაძის უდროოთ დაკარგვამ. ჩვენმა ქვეყანამ კარგი და ერთგული მუშაკი დაკარგა.— ნაკაიშვილი, იმნაძე, პაპავა, ჩხეიძე, ხოჰოლავა, ჩიგოგიძე, ყანჩელი, მხეიძენი, მებურიშვილი, ღოღობერიძე.

✦ ლაილაშიდან დესპინე ახვლედიანისამა და დოსია ჩიქოვანისამ ჩვენს რედაქციას ხუთი თუმანი გამოუგზავნეს და გვაცნობებენ—სიას ამ ფულის დანიშნულებისას ამ დღეებში მიიღებთო.

✦ მოსავლის თაობაზე ოდიშიდან ცნობები კვლავ ცუდი მოგვდის. ყანების გამობრუნება კიდევ შეიძლებოდა, რომ ერთი-ორი კვირის წინათ წვიმა მოსწრებოდათ, მაგრამ წვიმის ნაცვლად ქარსიცხემ ბევრ ადგილას ერთიანად მოუღო ბოლო სიმიდის ყანებს, ვენახიც მომეტებულათ დააზარალა. ხეებს ფოთოლიც აღარ შეარჩინა—შემოდგომის უკანასკნელი ხანა გეგონებათ.

ამგვარივე ცნობებია ქვემო-იმერეთიდანა და გურიის მომეტებული ნაწილიდანაც... გურიაში მუდამ დიდს იმედს ამყარებდენ, სხვათა შორის, ადესაზე. წელს ვენახები აქეთკენ სულ წავიდა ხელიდანო.

✦ მიურატის მემკვიდრეებს დედის სიკვდილს შემდეგ გადაუწყვეტიათ დიდი ხნით დასტოვონ ოდიში, და პარიზში გადასახლდენ. მიურატებს დიდი მამული აქვთ ზუგდიდისა და სენაკის მაზრაში. ამ მამულში აწარმოებდენ ინტენსიურ სასოფლო მეურნეობას. გლეხები მათგან ბევრ კარგსა და სასარგებლო რასმე სწავლობდენ.

✦ ვენის სამხატვრო ინსტიტუტის დირექტორს სტრიჟაკოვსკისა და იმის რამდენიმე მოწაფეს განუზრახავთ კავკასიის შემოვლა ქართულისა და სომხური არქიტექტურის შესწავლა.

✦ ხაშურში 18 აგვისტოს ვაჟთა ექვს კლასიან პროგიმნაზიის სასარგებლოთ სეირნობა გაუმართავთ. სეირნობას ბევრი ხალხი დასწრებია. ყოფილა რუსულ-ქართული წარმოდგენაც.

✦ ამ სამოსწავლო წლიდან ონში იხსნება ახალი ტიპის საქალაქო შკოლა. მთავრობა ამ შკოლას სუბსიდიათ აძლევს 5,800 მანეთს, შკოლის შენება ონელებმა უნდა აგონ. ხალხი ამ ხარჯის გაწევაზე უარს ამბობსო.

✦ ,,სახალხო გაზეთის'' რედაქცია პრივატ-დოცენტის ჯავახიშვილის ნაშრომის-- „ქართველი ერის ისტორიის'' ბეჭდვას შეუდგა. წიგნი გაზეთის ხელისმომწერლებს დამატებათ დაურიგდებათ.

✦ 21 აგვისტოს ქალაქის სანიტარმა ოქმები შეუდგინა უსუფთაობისთვის გენერლის ქუჩის მცხოვრებთ:—ბენ. ქურთიშვილს, დიმიტრი ჩხიკვიშვილს, პეტრე კაჭკაჭოვს, ნინო ქიქოძისას, მელ. კელენჯერიძეს და ლავრ. ჯლარკავას.

✦ ხარაგაულში 19 აგვისტოს ადგილობრივი სცენის მოყვარეებმა (?) მსახიობის (?) გრიგ. ჩარკვიანის რეჟისორობით (!) შიუკაშვილის „მეგობრისა'' წარმოადგინეს. მუდმივი სცენის უქონლობა ხელს უშლის აქ წარმოდგენების მართვის საქმესა და სასურველია, საზოგადოება იზრუნებდეს შენობის აგებისთვისო. ადგილობრივ სამკითხველოსა და სხვა კულტურულ დაწესებულებისთვის ქართული წარმოდგენები შემოსავლის წყაროთ გახდებოდაო.

✦ სოფ. პერევისაშიც გაუმართავთ წარმოდგენა, რომლის წმინდა შემოსავლიდანაც ნაწილი გადაუდვიათ ავათმყოფი მგოსნის, ევდოშვილის სასარგებლოთ.

### თფილისი.

✦ კომპოზიტორს დიმიტრი არაყიშვილს, რომელიც ამ ჟამათ მოსკოვში იმყოფება, დაუწერია ახალი სიმფონიური ნაწარმოები „თუშის ქალების ცეკვა“. ამ ნაწარმოებს მიმდინარე თვის განმავლობაში პავლოვსკში შეასრულებენ.

✦ ვ. საათაშვილს დაუწერია ახალი ორიგინალური ორ მოქმედებიანი დრამა „ცხოვრების ტალღა.“ სიუჟეტი აღებული აქვს სოფლის ინტელიგენციის ცხოვრებიდან. პიესა ნებართვისათვის საცენზურო კომიტეტშია წარდგენილი.

✦ ადესაში ამ ბოლო დროს გავრცელდა სტუდენტების დატუსაღება. დაჭერილთა უმრავლესობას კავკასიელნი შეადგენენ. მათ ბრალსა სდებენ ნებადაურთველ კრებაზე დასწრებისათვის. ამბობენ ამ დაპატიმრებით კავშირი აქვთ სოლქო სასამართლოში აძრულ საქმესთან ქართველ სტუდენტების წინააღმდეგ, რომელნიც შეპყრობილნი იყვენ გენერალ დუმბაძის გერის გეიერის ბინაზე. ეს საქმე სექტემბერში გაირჩევა.

✦ გაზეთების სიტყვით, მშრომელთა ჯგუფი მასალებს აგროვებს ბათომის გაფიცვების შესახებ და სათათბიროს პირველ კრებაზევე შეიტანს. როგორც მიზეზი, ისე ხასიათი გაფიცვისა, თურმე მეტათ სენსაციურია.

✦ ქართული სახალხო სიმღერები. გუშინ ,,ახალმა კლუბმა'' კომპოზიტორ ნ. პ. სულხანიშვილისაგან, რომელიც ქართულ სახალხო სიმღერების შესაკრებად არის გაგზავნილი, მიიღო 22 სხვა და სხვა ქართული ხალხური სიმღერა, გადაღებული ფონოგრაფზე. სიმღერები შეუკრებია თელავ-სიღნაღის მაზრასა და თუშეთში ამ დღეებში ბ-ნი სულხანიშვილი სიმღერების შესაკრებათ თიანეთიდან არაგვის ხეობაში გაემგზავრება და ამ თვის ბოლოს თფილისს დაბრუნდება, თფილისიდან ქუთაისის გუბერნიას ესტუმრება. (ს. გ.)

### ,,კოლხიდა'' ცხვება ქუთაისში

*დიდს ქვაბში არ ეტია*
*პატარაში არ კმარია.*

ჩვენ დანამდვილებით გავიგეთ, რომ ქუთაისში დაარსდება ახალი სამეურნეო საზოგადოება. წესდება დიდის ხნიდან მთლად შემდგარა, წარდგენილა სადაც ჯერ არს და დამტკიცებულა კიდეც.

პირველად გვაკვირვებს ამისთანა კეთილი საქმის გამოწყება და მისი დამალვა ამდენს ხანს არ ვიცით რას მივაწეროთ, სამეურნეო საზოგადოება ათასიც რომ გაიხსნას სასიამოვნოა ჩვენს ქვეყანაში და სანატრელიც, თუ კი ეს საქმე მოსახერხებელია, რა დასამალავი იყო არ გვესმის; მით უმეტეს ამ აზრის გავრცელება საჭირო იყო სათანადო საზოგადოებაში, რომ მას ამ თავითვე ძალა მოეკრიბა, თანამოაზრე და მომქმედი წევრები შეეძინა მრავალათა და ამ ფრიად კეთილ საქმეს ამ თავითვე სიცოცხლე დასტყობოდა.

ამის მაგიერათ ეს კეთილი საქმე იდუმალობით ყოფილა მოცული.

რაც უნდა იყოს, მეურნე ბევრი სჭირია ჩვენს ქვეყანას და ღმერთმა ქნას— ამ საზოგადოებამ კარგათ აწარმოვოს თავისი გამოწყებული საქმე და კეთილი შესძინოს ჩვენს მიდამოს.

გვსურს მხოლოდ მივაქციოთ ყურადღება ამ გამოწყების ძირითად აზრს.

გვინდა ვთქვათ, რომ ჩვენს გუბერნიაში არის განა იმოდენა ძალა, მოიპოება განა იმდენი კეთილგანწყობილი ინტელიგენტები, რაც ამ საქმეს ეჭირება, რომ ამ მძიმე საქმეს, სოფლის მეურნეობას გაუძღვეს? ჩვენ ვფიქრობთ, რომ არა, მაგალითი შორს საძებარი არ არის.

პირველი სამაგალითოდ ასაღები გახლავს ქუთაისის განყოფილება კავკასიის საიმ. სამეურნეო საზოგადოებ. რას წარმოადგენს ეს საზოგადოება დღეს?

იმ თორმეტიოდე წევრთა მოქმედება, რომლისგანაც დღეს ეს განყოფილება არსებობს, განისაზღვრება ქუთაისის სამეურნეო სასწავლებლის შენახვითა და იმ მეცადინეობით კიდევ, რომ ეს სასწავლებელი, როგორმე წინ წაიყვანოს, სწავლა და მეცადინეობა გააუმჯობესოს და სოფელს რამდენიმე დამზადებული მუშა მეურნე შესძინოს ყოველი წლით.

მაგრამ იმის გარდა განა სხვა არაფერია გასაკეთებელი, რომ ამ საზოგადოებამ იშრომოს?

როგორ არ არის, საქმე ბევრია, მაგრამ ვინ არის ამ უნარის გამწევი!

ჯერ თვით საზოგადოებას იმდენი საშვალებაც არ აქვს, რომ სადმე მუდმ[ივი] ბინა აიჩინოს, სადაც დაწყნარებ[ით] შეიძლებოდეს მუშაობა, წევრების თა[ვ]მოყრა, ერთი მეორისგან აზრის განა[ზი]ლება. ხან ერთი ბინიდან გამოყრიან ს[ა]ზოგადოებას, რადგანაც იმ ბინის პატრ[ო]ნების სუფრაჯები სამსახურისთვის და[...] ჩუქრებას მოითხოვენ და ეს სახსარი ს[ა]ზოგადოებას არ მოეძებნება. რომე[ლ] წევრს შეაქვს ნეტავი საწევრო ფული!

ჩვენ ვერ ვიტყვით, რომ ამ საზო[გა]დოებას არაფერი გაეკეთებიოს, არ ე[...] ძრავს და დღესაც არ სურდეს ნაყოფ[იე]რი შრომის გაწევა.

მაგრამ ვხედავთ ახლა, რომ ზოგიერ[თ] წევრი გაურბის საქმეს, ცდილობს ახა[...] ლი სახელით მონათლოს სამეურნეო ს[ა]ზოგადოება; სწყურიათ ერთი დაანგრი[ონ] რომ მალე მეორე კიდელი ექნესთ გ[...] მოსანგრევი.

მეორე საზოგადო მოქმედება ვითომ[...] ჩვენის მეურნეობისა გახლდათ ეგრეთ წ[ო]დებული „კოლხიდა“. ამ დაწესებულ[...] ბამაც ბევრს მოუყარა თავი, საწევ[რო] ფულიც შემოატანია, წლიური ანგარ[ი]შებიც გაიჩაღა, მაგრამ, მაგრამ ვიკმარო[თ] ამ სასოგადოებაზე ზაასის ჩამოგდება მო[...] რომ სომხურათ ამოვიხვნეშოთ, და ,,[...] ხლის'' ვსთქვათ. რასაკვირველია, ქ. სამე[უ]რნეო საზოგად. რომ სახრავი რამ ებად[...] ექვი არ არის, თაგვებიც ბევრი გაუჩნ[...] ბოდა, მექომაგე მას ბევრი ეყოლებოდ[ა] მაგრამ საცოდავს ქ. საზოგადოებას არა[...] ფერი გააჩნია და მიტომაც არის წევრ[ე]ბი გაურბიან, მოგეხსენებათ უებარი ქ[...] მარიტება ფული კაცს იტაცებს, თაფ[ლ]ფუტკარს, თაგვი სიმინდს და დღეს ვ[...] სამეურნეო საზოგადოებაში კიდევ სუ[...] ლაფავენ, ეს უნდა მივაწეროთ მათს [...]

## დ ღ ი უ რ ი.

მილიუკოვის საერთაშორისო კომისიიდან განდევნას საბერძნეთიც მოითხოვს.

— სერბიაში ჯარის დათხოვნის გამო, ხოლერა სოფელსაც მოედვა.

— ალმოაჩინეს ქურთთა შეთქმულობა ოსმალეთის მთავრობის წინააღმდეგ.

— გააგაში სამშვიდობო კონფერენცია დაიხურა.

— ბაქოში მეეტლეთა გაფიცვა დასრულდა.

— ბულგარეთმა გადაწყვიტა, ოსმალეთთან ოფიციალური მოლაპარაკება გამართოს.

— საბერძნეთი ბულგარეთის [illegible] არ შერიგდება.

— [illegible] წარმომადგენლები [illegible] ნას მივიდენ.

— ოსმალეთთან მოსალაპარაკებლა[დ] ბულგარეთმა დელეგატებათ სავოვი [...] ტონჩევი დანიშნა.

— ფინანსის სამინისტრომ მინისტრ[თა] საბჭოში კერძო საკრედიტო საზოგად[ოე]ბათა შესახებ კანონპროექტი შეიტანა.

---

## პ ო ე ზ ი ა დ ა პ რ ო ზ ა
## ქართულ სახელმძღვანელოებში.

ბიბლიოგრაფიული შენიშვნები.

რამდენიმე წლის წინათ ჩვენი პრესის გულიდან უიმედო ტირილი მოისმა: დავღუპეთ, მწერლობა იმხობა, ქართული ლიტერატურული სიტყვა გაიცვითა, პოეზია სახიფათო კრიზისს განიცდისო. ნორჩმა ჭირისუფლებმა, როგორც მოსალოდნელი იყო, უფრო მეტი სინაზითა და ცრემლში გაბანილი სიყვარულით ლირიკა და მხატვრული ხელოვნება ჩაიხუტეს. როდესღაც გრძნობიერი მგოსნის გულიდან ამონაფხანი, ლაღი და ხალისიანი სურათი დღეს საცოდავათ ჩაყვითლებულიყო...

„მის ქარახაში ჩავქსოვე სოფლის
წყლული და ჭირიო,
„ვერვინ შეამჩნევს იმასა, უფრო
იმიტომ ვსტირიო,—

ვაჟასთან ერთად სტიროს ქვითინებდენ სტვირდაკარგული პოეტები. როგორ არ ატირდებოდენ: პოეზია—კაცობრიობის თავისა და გულის ნაზი ხიდი, გრძნობა-გონების ტლანქ „ქურდებს“ მხეცურათ გადაეტეხათ!..

ბევრი სათავე მოუძებნეს ლიტერატურულ კრიზისს: პოლიტიკური, სოციალური, ნაციონალური... წმინდა მატერიალური. მაგრამ მარტო პოლიტიკურ-ნაციონალური სარჩულიც საკმაო იყო, რომ მწვავე საკითხის პასუხი ზედ თავისთავად მოქარგულიყო. ფხიზელი პუბლიცისტები პირველად შეეხენ პოლიტიკურ სიმებს, შეეხენ—და შესაფერისი ხმებიც გამოაცემიეს, ქართული პოეზია მხოლოდ მაშინ გაშლის მძლავრად ფრთებს, როცა, საზოგადოთ, პოლიტიკური და, კერძოთ, ეროვნული ჩაგვრა მოისპობაო,—აი მთავარი ძარღვი მათი გულამოსკვნილი ჩივილის.

დაუმატოთ ოდნავ: I ნაციათა არსებობა დღეს ყველგან აღსრულებული ფაქტია. „ზოოლოგიური“ ნაციონალიზმი არ დაგიდევს არც მეცნიერებას, არც ფილოსოფიას. უფრო „კეთილშობილური“, მაგრამ „მეტაფიზიკური“ ნაციონალიზმი რომანტიზმის ქსელშია გახლართული; ის ან რაინდულ წარსულს უჭვრეტს, ან უსაზღვრო მომავალში თავის „განსაკუთრებულს“, „მარადიულ სულს“ ეარშიყება.

არის ნაციონალიზმი, მეცნიერულ ნიადაგზე დამყნილი; მისთვის ბუნებრივია ეროვნებათა არსებობა, ბუნებრივია აგრეთვე პოლიტიკური ბრძოლაც ეროვნული თავისუფლებისათვის. II ერი უენოთ წარმოუდგენელია. ერი ენით ცოცხლობს, რადგანაც (გენიალური მეცნიერის—პოტებნიას სიტყვით) „აზრსა და ენას შორის მჭიდრო კავშირი არსებობს“: თუ ფრთა შეეკვეცა ენა-სიტყვას, დაჩლუნგდება აზრი, მოკვდება ნაცია. „რა ენა წახდეს, ერიც დაეცეს“-ო,—სთქვა გრ. ორბელიანმა. ასეთი სადი სენტენცია იშვიათია მსოფლიო ლიტერატურაში. ვეცდები—ეს მკვდარი სქემა ოდნავ მაინც გამოვაცოცხლოთ.

მაგრამ ჯერ კიდევ ქართული ლიტერატურის კრიზისს დავუბრუნდეთ.

ვიმეორებ—პრესა განსაკუთრებით პოეზიის სამეფოს უთვალყურებდა: მხატვრებსა და ლირიკოსებს მკითხველი აღარა ყავს, „კაზეული“ მწერლობა მალე სულს დალევსო.

რას შვრებოდა ამ დროს პროზა? ის „პროზა“ კი არა, რომლის მარტო ერთი მოგონებაც სქოლასტიური სახელმძღვანელოების ავტორთ მთქნარებისაგან ყბებს ჩამოუნგრევს ხოლმე. არა, თანამედროვე ენათმეცნიერების დარჯაკში გატარებული, პოეზიის ერთგული და განუყრელი მეგობარი—პროზა. რას განიცთიდა ქართული მეცნიერება, ფილოსოფია, კრიტიკა, პუბლიცისტიკა?.. ეძინა, გოლიათურათ ეძინა, სძინავს ახლაც და, ვინ იცის—თვალს როდის მოიფშვნეტს!

მონა-ერი პროზაშიც სხვისი ნასუფრალით იკვებება. არ ვამბობ—სხვისი ნაყოფით სარგებლობას-მეთქი. არა, სხვისი ნასუფრალით იკვებება. თუ არსებობს ნაცია, მსოფლიო ტკივილებიც ნაციონალურ ენაში უნდა ჩაისახოს. ტრაგედიას მხოლოდ ის ერი განიცდის, რომელიც საკუთარი ფილტვებით ვერ სუნთქავს: მას არ შეუძლია საზოგადოებრივი და მსოფლიური ხმები თვით ისმინოს, სხვასაჯ ასმინოს.

კაცობრიობის განვითარება პოეზიიდან პროზისაკენ მიდისო—უთქვამს პოტებნიას. მაგრამ ვგონებ—პროზის შემქნელი პოეზია მთლიან ერში უნდა არსებობდეს. თავისუფალი და მთლიანი სულის მატარებელი ერი საკუთარი ენით აღებს თავისიანთა გულებს. ხელოვნება, მეცნიერება, ფილოსოფია აკლიმატიზაციას ვერ იგუებს: ჯერ შეჩვეულ ნიადაგზე მწიფდება, შემდეგ საზოგადოებრივ ბედელში გადადის. მკვდარი სქემის პატარა დასკვნა ასეთი იქნება: როგორც კერძო ინდივიდს, ისე მთელ ერს, ან რომელიმე სოციალურ ჯგუფს გარეშე ბუნება (ამ სიტყვის ღრმა და ფართო მნიშვნელობით) აიძულებს—მოსძებნოს აზრის გამომჭედი სიტყვა. რამდენათაც უფრო თავისუფალია აზრი, იმდენათ უფრო ფხიანია მისი ორი ღვიძლი შვილი: პოეზია და პროზა. როცა ერი ვერ სარგებლობს საჭირო თავისუფლებით, როცა საკუთარი მისი იარაღი მტვერწასერილ—ჩაჟანგულია, იწყება კრიზისი როგორც პოეზიაში, ისე პროზაში. ასეთი ერი შეუმჩნევლათ სხვისი გადაღეჭილ-გადაცოხნილითაც კმაყოფილდება...

მიულერს უთქვამს—ადამიანის სულის ისტორია ენაში უნდა ამოვიკითხოთო*).

ხოლო რადგან ენა ორსახიანია—პროზული და პოეტური, ცხადია ადამიანის სულის ისტორიკოსიც ამ ორ დიდ სახეს შეისწავლის. მაგრამ მარტო მეცნიერების მწვერვალზე არ ჩერდება ჩვენი სულის გადაშლის წყურვილი,—ის ხშირათ „უბრალო მომაკვდავსაც“ ააფაცურებს ხოლმე. ასეთ შემთხვევაში ჰუმბოლდტს, მიულერს, პოტებნიასა ღ სხვა ბუმბერაზ მეცნიერთ გვერდში უფრო პოპულიარული და ხალხისათვის მისაწვდომი მოღვაწეები უნდა ჩაუდგენ. აუცილებლათ საჭიროა—,,ისტორიკოსი'' და მისი თანაშემწე დამოუკიდებელი იყვენ კვლევა-ძიების დროს. სქოლასტიური შკოლა მათი დაუძინებელი მტერი იქნება, როგორც ყოველთვის, მაგრამ სწორეთ ასეთი მტრობაა წინსვლის თავდები: მეცნიერება ბრძოლაში გასჭედს ძლიერ იარაღს.

აზრის პროზული და პოეტური პროცესი თავის დროზე მოწაფე-ახალგაზდობასაც ჩააფიქრებს,—და თუ ცუდია პედაგოგი, გაცუდდება აგრეთვე ნორჩი თავის დარბაისლური ფიქრებიც. გადაავლეთ თვალი თანამედროვე სახელმძღვანელოებს —და დარწმუნდებით, რომ მეცნიერული აზროვნობის დიდათ სერიოზული დარგი— პოეზიისა და პროზის თეორია, დღესაც სქოლასტიური გულით მეცნიერების ქურქში იმალება. სახელმძღვანელოთა ავტორები იშვიათად ასრულებენ თავის წმინდა გოვალეობას... ადვილი წარმოსადგენია მათგან ნასესხი აზრები რამდენათ უფრო ულაზათო და ტლანქი იქნება, რამდენათ სახიფათო და საზიანოა შკოლისთვის მათი გავრცელება.

როგორია ამ მხრით ქართული შკოლის მდგომარეობა? რით იკვებება ქართველი საზოგადოების ,,მომავალი ბურჯი''? როგორ სწავლობს ჩვენი ახალი თაობა კაცობრიობის ,,სულის ისტორიას''?—გადაშალეთ ყურადღებით—და პასუხს, უიმედოს, მაგრამ მჭევრმეტყველურ პასუხს, ევ. კირიონისა და გრ. ყიფშიძის კოლექტიურ—კომპილიატური შრო[მის] ფურცლებზე ამოიკითხავთ.

პოეზიისა და პროზის თეორიამ უნდა გვასწავლოს მხატვრულ—ლირიკულის მეცნიერულ—ფილოსოფიური აზროვნ[ების] ფსიქოლოგია, აგვიხსნას პოეტური ხ[...] დანიშნულება, ხელოვნებისა და მეცნიერის [...] ლი კაცობრიობის სულის ისტორიაში [...] და მით დაბადოს, ან გაალვიძოს ჩვენი თ[...] შემეცნება და თვითცნობიერება.

აკმაყოფილებს ევ. კირიონისა და [გრ.] ყიფშიძის ,,სიტყვიერობის თეორია“ [...] მოთხოვნილებას?—სამწუხაროთ, ვ[...] ვერა იმიტომ, რომ ,,სიტყვიერების თეო[რ]ის“ ,,თეორიული'' ნაწილი სუსტსა და [...] ცოდავ კომპილიაციას წარმოადგენს: მარტო რუს სქოლასტიკოს—თეორე[ტი]კოსთა დაობებული აზრებითაა მო[...] წყლული. ,,ამისთანა სახელმძღვანე[ლოს] შედგენა პირველი ცდაა ჩვენში, ხო[ლო] დასაწყისი ყოველი საქმისა მუდამ [...] ლიაო'',—ნათქვამია წინასიტყვაობ[აში], განსაკუთრებით ძნელია—დავუმატებთ —ისეთი სახელმძღვანელოს შედ[გენა] როგორიცაა, ,,სიტყვიერების თეორი[ა] მერე ვის შეეძლო, ბბ. ავტორ[ებო] შემსუბუქებია თქვენთვის ეს მძიმე ტვ[ირთი] ნუთუ ბელორუსოვს, სლუჩევს[კის], სმირნოვსკის, ფილონოვს, გალახოვს სხვებს, რომელთაც თქვენ თითქმის კრ[...] ვა-მოწიწებითაც კი მიმართეთ! რა[ტომ] ფიქრობდით, რომ ეს მეცნიერების ,,[...] არტილერია'' თავისებურათ გაჭყლე[ტს] ყოველივე ქორფა მეცნიერულ აზრს, რ[ომ] მიუხედავათ მათი ერთგვარი უტყ[უარი] ერუდიციისა, თანამედროვე პოეზიის [და] პროზის თეორიაში ფასი არ ექნე[ბა] მათ ნედლ მასალას? მართალია, მე[ცნი]ერების მწვერვალნი: გრიმი, ჰუმბოლ[დტი] მიულერი, პოტებნია პირდაპირ საჭ[...] ებას არ წარმოადგენდენ თქვენი ს[ახე]ლმძღვანელოსათვის, მაგრამ რატომ [...] ვიწყეთ მათი კომენტატორები? აი[...]

*) синтаксисъ рускаго языка въ изслѣдованіяхъ Потебни''. изложилъ И. Белорусовъ. Орелъ 1901 г.

ზმს, რაკი მათი ბედი ყოფილა მუდაუჯილდოებელ საქმეზე ყოფნა, ნი მედგრათ არიან თავის პოზიციაზე, ან და მუშაობენ რამდენათაც შეუანთ; ჯილდოს მაძიებელნი, სადაც ლია, იქ სხედან და ვაი მისი ბრალი, ც მათ უფლებას შეეხება არამც თუ ლი საზოგადოების გამოწყებით, არაუბრალო თხოვნითაც; საჭიროა მხოდ მათი მეუფების გარეშე რაიმე სათრი შეიტანონ სადმე, სხვა დაწესეებაში ეს დაჯილდოებული ხალხი იმ ვე თავის რაშს მათრახს შემოარტყადეზიდაც კარგათ გვერდებს დაუვენ—ესაო და ჩვენ გვერდი ავუეს, ჩვენს უფლებას შეეხენ, სხვა უწბაში გაასაჩივრეს ჩვენი გასარჩევი საეთ, თვარა ღმერთი რო გამწყრალიყო, ლი წესით ახალი საზოგადოება, ახაი დაწესებულება გამოეწყო ვისმე, მათ წესაულების წინააღმდეგ ხომ ერთი ქოთი ატყდებოდა. იალბუზის მთა ა გამსკდარიყო, მყინვარეს ცეცხლი იდებოდა.

მუხლზე ჩვენ უნდა შევჩერდეთ, დე ბაასი რომ დავიწყოთ, შორს წავანს, ოცი წელიწადი თუ გაჩუმებული რა რაღა „კოლხიდის" გამოცხობამ ძულოს და გვათქმევინოს ის, რასაც ნს გულში ვიმარხავთ.

აშ რამ გამოიწვია ახალი სამეურნეო ზოგადოების გამოწყება და ისიც იდუათ, ბევრის დაინტერესებულის პირთა ნ დასაფარავათ?

შემჩემობის პრინციპი თუ ალიძრა ვისს გულში—ეს, ვგონებ, დიდი შეცდოუნდა იყოს, რადგანაც აწ არსებული ზოგადოება ისეთი მიუდგომელი პირნეობით არის აღჭურვილი, არ ვიცი მარიტათ, ვინ ვის ან სად, ან რა თხვევაში გადაელობა წინ, ვინ არ ლის პოზიციის პირველი შემთხვევისავე, თუ კი საჭიროება ამას მოითს, ან ითხოვდა; დარწმუნებული ვართ, ებულ საზოგადოების წევრები სრუბით დამეთანხმებიან, რომ ამაზე ბაასი ია.

აშ სხვა მიზეზი რა არის?

დებულება გვიშლის ხელს, გვიბორს ჩვენს გულწრფელს მოქმედებას, ს გვილობავს, ბორკილს გვადებს?

ამ საგანზე ერთხელ დიდი ბაასი იყო სამეურნეო საზოგადოებაში, როცა ლ. ქონებათა მართველმა ბ. პაკვანმა შემოიტანა პროექტი, რომ დაარსებულიყო ბათომის მსგავსი სამეურნეო საზოგადოება ქუთაისში. ყველა შეთანხმდენ, რომ ქუთაისი ორს საზოგადოებას ვერ აიტანს და სჯობია არსებული გამაგრებულიყო და წესდებულება რაც უნდა მოძველებული, ცხოვრების შეუფარდებელი იყოს, ისა სჯობია ახალი წყლის ნაყვასაო.

მაშ რითი, რა დიდი საფუძვლებით ღიჭურვენ, რომ მოუსურვებიათ ახალი სამეურნეო საზოგადოების შედგენა ქუთაისში?

ცუდი ენები ამბობენ, რომ ათასი თუმანი უკვე ნაშოვარი აქვთო ძველი „კოლხიდის" აწ გახრწნილი საზოგადოების საშუალებითო. მაშ, რაკი ფულია, საქმეც ბევრი გაჩდებაო.

კეთილი იქნას, ღმერთმა ხელი მოუმართოსთ.

ჩვენ როგორც წინათ ვსთქვით, ახლაც გულწრფელათ აღვიარებთ, რომ მოხარული ვიქნებით ათასი სამეურნეო საზოგადოების დაარსებისა ჩვენს ქვეყანაში, მაგრამ—არაკისა არ იყოს—„დიდს ქვაბშია არ ეტია პატარაში არ კმარიყო" ისე არ მოგვივიდეს.

ძველი მეგობარი.

## მშრომელი ხალხი.

**გაფიცვა ნავთის სამრეწველოებში.** როჩშილდის სამრეწველოს მუშებს მოთხოვნილების ერთი ნაწილი დაუკმაყოფილეს. მოთხოვნილების დაკმაყოფილებას შემდეგ მუშაობა განახლდა. ნობელის სამრეწველოში გაფიცვა გძელდება.

ბაქოში გაფიცვას მეეტლებიც განაგრძობენ. გრადონაჩალნიკის მოლაპარაკებამ მეეტლებთან უნაყოფოთ ჩაიარა. გაფიცულ მეეტლებს ერთ შტრეიკბრეხერთან ჩხუბი მოუვიდათ. როდესაც შტრეიკბრეხერი მეეტლე ბირჟაზე გამოვიდა, გარს შემოერტყენ მეეტლები, ცხენები გამოხსნეს და ეტლს მტვრევა დაუწყეს, პოლიციამ შვიდი მეეტლე დააპატიმრა.

გროზნის ნავთის სამრეწველოების მუშებმა კრება გამართეს. კრებას დიდძალი მუშას გარდა დაესწრო ქარხნის ადმინისტრაცია. კრების შემდეგ მუშებმა სამრეწველოების ადმინისტრაციას მოთხოვნილება წარუდგინეს. მუშებმა მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებაზე, გარდა სამუშაო ფასის მომატებისა, კატეგორიული უარი მიიღეს. მუშები გაიფიცნენ, მათი რიცხვი 10 ათას კაცს აღემატება. გაფიცვა თანდათან ძლიერდება. 16 აგვისტოს პეტერბურგში ნავთის მრეწველთა საზოგადოების გამგეობამ მიიღო ცნობა „კასპიისკო—ჩერნომორის" სამრეწველოში დაიწყო მუშაობაო.

## რუსეთი.

**კანონპროექტი სამაზრო კრებაზე** გაარჩიეს იუსტიციის სამინისტროს კანონპროექტი „ხულიგნობის" შესახებ. ზოგიერთი საერობო დაწესებულების უფროსი თხოულობდა, რომ ხულიგნები ფიზიკურათაც დაესაჯათ.

**განსაკუთრებული წესები.** სამხედრო მინისტრმა მინისტრთა საბჭოში წინადადება შეიტანა თურქისტანში განსაკუთრებული წესები კიდევ ერთი წლით გაგძელდეს, ვინაიდან იქ შიში მთავრობის საწინააღმდეგო ორგანიზაციების კიდევ არისო.

## უცხოეთი.

**ჩინეთის ამბები.** პეკინში დახურეს 12 ოპოზიციონური და გავრცელებული გაზეთი. რევოლუცია დამარცხებულათ ითვლება და კანტონზე აწი იერიშ არ მიიტანენ. ნანკინში სამხრეთელთა აჯანყებულმა ჯარმა პირველისა და მერვე დივიზიის უფროსები მოკლა. აჯანყებულებმა ჩრდილოეთელებთან ქალაქის დანებების შესახებ მოლაპარაკება გამართეს. დასჯილთა თავები ქალაქის ჰიშკრებზე გამოკიდეს. ერთი გაზეთის რედაქტორს უნდოდა სახელმწიფო ძალის ხელში ჩაგდება, მაგრამ ის ქალაქიდან გააძევეს. ევროპიელები ურჩევენ სამხრეთლებს, წინაღმდეგობას თავი დაანებონ და დანებდენ. აჯანყებულები თანახმა არიან დანებდენ, თუ 500 ათასი ტაელს მიიღებენ. მოლაპარაკება გძელდება. ქალაქი ნანკინი გაცარცული და სულ ერთიან გადამწვარია.

**სომხური გაზეთის დახურვა.** სტამბოლში სომხური გაზეთი „ჟამანაკი" დახურეს. დახურეს ის სტამბაც, სადაც გაზეთი იბეჭდება. რედაქტორი სამხედრო სამართალში მისცეს. გაზეთის დახურვა გამოიწვია იქ მოთავსებულმა ცნობამ, რომ რუსეთის საზღვრებზე ოსმალეთის მთავრობა მაჰმადიანებს იარაღს ურიგებსო.

## სვანეთის გზებზე.

(დასასრული იხ. „იმერეთი" № 129).

პატარა რამეს თუ მიირთმევთ და ღვინოს დააყოლებთ ძალა მოგეცემათო, მითხრეს სვანებმა და ამოიღეს ხურჯინიდან საგზალი.. მაგრამ სად არის ღვინო? მხოლოდ წითელი ყინვითაა ბოთლები სავსე... ხაჭაპურები, ხორცი ყველაფერი გაუყინავს! ხაშკიხუშკი გააქვს საჭმელს სვანების პირში. ყველაფერი შემზარდა. საუზმეზე გადაჭრით უარი ვსთქვი. ძილი მტაცებდა მილულულ თვალებს... მაგრამ ზღაპრებით გამიფანტეს ძილი—გამაცინეს კიდეც... იცით რას გავდა ჩემი სიცილი?.. —მომაკვდავი ადამიანის კბილების ღრჭიალს!.. მზეს შევშტერებოდი, რომელიც უხვათ ისროდა სხივებს, მაგრამ სითბო სრულიად დაკარგოდა... სიცივე იყო, ყინვა საშინელი, წარმოუდგენელი!.. ჰაერიც არსად იყო, პირს ვაღებდი, მაგრამ ვერ ვძლებოდი... პალტოს სახელოებში ვეძებდი ჰაერს... ქვეყანას მაღლიდან, დავცქეროდი მაგრამ რაღაც ბუნებისადმი ტრფიალების გრძნობა მთლად ჩამკვდომოდა გულში!

მალე მოვცილდით მუშურის წვერს.. „საშიში აღარაფერიაო" მაგრამ ამ აზრის სიყალბის საბუთები იქვე სამ-ოთხს საჟენს შემდეგ იყო:—ეს კილოთარები (спускъ) ჩავიდეთ და სამშვიდობოში გავალთო!—მითხრეს. გადვიხედე, შემეშინდა და უკან დავიხიე.. ეგ „კილოთარები" წინეთაც გამეგონა, მაგრამ რას წარმოვიდგენდი ამ საშინელებას... არა, აქ ვერ ჩამოგყვებით! —ვუთხარი იმედდაკარგულმა თანამგზავრთ და გავიშხლართე თოვლში... წარმოიდგინეთ, ორმოცდაათი საჟენის სიმაღლე ციცაბო კლდე... როგორ, რა სახით, ჩიტი არა ვარ..—ჩავიდეთ ბატონო, ნუ ვვგიანობთ... შემოგვაღამდება! გამხნევდით, საშიში იმდენი არაფერია!.. რას იზამთ! ჩამაბეს წელში ბაწარი... ოთხი უკან და ხუთი წინ... მაგრამ ესენი როგორ ჩავლენ? მხოლოდ მაშინ დავრწმუნდი, რომ სვანი ზღაპრული მდევია, რომელსაც მუცელზე, ზურგზე, გვერდებზეც ფეხები აქვსო, ეგ ფეხები უხილავია... მაგრამ ხილულზე უფრო მაგარი, ფრთხილი და საიმედო!.. ყოველ სვანს ხელში რკინის წვეტიანი ჯოხი აქვს, ან როგორც ისინი ეძახიან „მიჯვრა". ამ მიჯვრას მიასობდენ კლდეს და ამ ხელოვნური კიბით ტანჯვით „ჩავფრინდით" კილოთარებზე. ძირს ჩასრიალების დროს, სადაც დაქანება იმდენათ წარმოუდგენელი და საშიში არ იყო ჩვენმა ჩოჩიალ-ჩოჩიალით ჩასვლამ შეანძრია და მოხეთქა ზღვა თოვლი... შიში... წარმოუდგენელი შიში:—იწყება ზვავი, რომელიც მოგლეჯს და ... ვეება თოვლს. ყველა შეშინდა... გამბედავ სვანებსაც ... ფერი:—„... წყრება ღმერთიო" სთქვა ერთმა. რა ადვილათ ვიტყვით ხოლმე „წინ წყალი და უკან კილოთარები... სასწაულით დიახ, სასწაულით...

სვანის უმაღლეს ხარისხამდი ღვთის მოყვარულობა და შიში, იმით აიხსნება, რომ ასეთ უკუღმართ გზებში უხდება დღედაღამე ყოფნა... წინ კიდევ ასეთივე სასწაულები! წარმოიდგინეთ გამხდარი საქონლის ხირხიმალი! ასეთი კლდე... მარჯვნივ და მარცხნივ თვალ უწვდენელი უფსკრული... მთის ზურგს კი ტკაველა აქვს განი:—ბაწარი არ გაგიცდეთ, თქვენი ჭირიმე, ხელში,—ვეხვეწები. მივდივართ, და რო დავრწმუნდი, აწ საშიში არაფერია, მაშინ ვიგრძენი ტკივილები, დაღლილობა, მოთენთილობა... დამაწვინეს ნაბადზე და სრიალ-სრიალით ქვეშ სოფლებისკენ მივყავართ. ბნელა, საშინლათ ბნელა. ჩავედით სოფ. ჩოლურში. იქიდან ცაგერში. ცაგერიდან ქუთაისს.

ჩემი მეორეთ გამგზავრება სვანეთისკენ მაისის პირველ რიცხვებში მოხდა ლენხერის ხეობით (მდინარე ენგურის ნაპირათ). მეუბნებოდენ—ეგ გზა საუკეთესოაო და მეც ფეხის ხმას ავყევი: ჯერ რკინის გზით და მერე ეტლით მივაწიეთ ჯვარამდი.—აქიდან ცხენებით ვერა, ბატონო, ჯორები უნდა იქირაოთ და ისე წაბძანდეთ. თქვენ არ შეგეშინდესთ ჯორიდან გადმოვარდნის და ჯორი კი არ გადავარდებაო. გიკვირდებათ, როცა თქვენი თვალით ნახავთ, რა გაბედულათ თხასავით გაძვრებ-გამოძვრება ამ საშიშს გზებშიო",—მითხრეს იმათ, ვინც დავიქირავე გზაში გამყოლათ. რას ვიზამ უნდა წავიდე... არ შემცდარვიყავი და ოჯახობა მაინც არ წამომეყვანა. მაგრამ კიდევ არ მწამდა გზის ასეთი აუტანლობა, რადგან დანამდვილებით ვიცოდი, რომ ამ უკანასკნელ წლებში ამ გზის გასაუმჯობესებლათ ხაზინამ ას სამოცი ათასი მანეთი (160,000 მ.) დახარჯა. და ნუთუ არაფეგაკეთდა ამ აუარებელი თანხით. წავედით გაბედულათ მიძვრება ჩემი ერთგული ჯორი... 28 ვერსი გავიარეთ ჯვარიდან, ოდიში გათავდა და სვანეთი დაიწყო... ჩემს შკოლამდი კიდევ ასი ვერსია. მეო-

---

მავლობაში*) ნუ თუ ერთხელაც ვერ ცალეთ, რომ ყურადღებით გადაგეკით პოტებნიას ნიჭიერი მიმდეს, ოვსიანიკო-კულიკოვსკის ნაწეა**), ათი წლის განმავლობაში ნუ ერთხელ არ გაგეღვიძათ სურვილი—ლი სიტყვით გაგეცოცხლებიათ თქვედაღვრემილი სახელმძღვანელო! მაოა?—მასალა აუარებელი იყო. მარტო ანდელი „Вопросы теоріи и психологіи рчеетва"-ს ავტორები: ოვსიანიკოლიკოვსკი, გორნფილდი, ლეზინი, ციევი და სხვა სავსებით დააკმაყოლდენ თქვენს მოთხოვნილებას.***) და შორს მივდივარ—რატომ თქვენს ლორუსოვს ვერ უნახეთ უკეთესი მასაა, იმ ბელორუსოვს, რომელიც თავს ვენთვის უფრო სასარგებლო წიგნში ტებნიას „გადმომცემსა" და ინტერეტატორს უწოდებს: „передатчикъ и терпретаторъ Потебни?"****) გავკადნიერდები და ვიტყვი, რომ ასე „ლიტერატურული" დაუდევრობისას თვით უგულწრფელესი მუშაკიც ვედურს დაიმსახურებდა. უმადურობა მოსატანი არაა: საზოგადოებრივმა ემ ოჯახური სითფო არ იცის,—ის მობელსა და მეტათ გრძნობიერ სარზე იწონება...

ჩვენი მიზანია—ამ მკრთალ წერილში ტყვიერების თეორიის" ზოგიერთი რე გავარჩიოთ, — სახელმძღვანელოს ისტომატიულ ნაწილს სრულიად არ ვეხებით.

მკითხველი უკვე შეამჩნევდა, რომ სიტყვიერების თეორია ბრჭყალებში ჩავკრუნჩხეთ—და არ ვათავისუფლებთ. ეგ იმის ნიშანია, რომ ტერმინი „სიტყვიერების თეორია" სრულიად შეუფერებელია სახელმძღვანელოს ხასიათისა და დანიშნულებისათვის. რასაკვირველია, ეპ. კირიონი და გრ. ყიფშიძე აქაც პირნათლად არიან ძველ სახელმძღვანელოთა ავტორების წინაშე. აბა შევადაროთ. ვნახოთ რუსული გამოცემანი: პ. სმირნოვსკი —„теорія словесности"! ი. ბელორუსოვი—„Учебникъ теоріи словесности"; ლივანოვი—„Учебный курсъ теоріи словесности"; სტეფანოვსკი „Учебный курсъ теоріи словесности; ბელიაევსკი—„Теорія словесности" და სხვ. ეპ. კირიონსა და გრ. ყიფშიძეს პირდაპირ გადმოუთარგმნიათ ასეთი სახელწოდება: „სიტყვიერების თეორია და ქრისტომატია". რუსმა „თეორეტიკოსებმა" დიდიხანია „სიტყვიერების თეორიის" სახელით მონათლეს ის, რასაც პოეზიისა და პროზის თეორია უნდა ეწოდებოდეს.

რა არის სიტყვიერების თეორია?—თეორია სიტყვიერებისა მეცნიერებაა და სწავლობს ზეპირსა და ნაწერ თხზულებათა ხასიათსა და აგებულებასო",—ნათქვამია შესავალში. პ. სმირნოვსკიც არსებითად ამასვე ამბობს: „теорія словесности есть ученіе о сочиненіяхъ". რამდენათაც ვიცით, სიტყვიერების თეორია, როგორც მეცნიერება, ან სწავლა (ученіе), სრულიად არ არსებობს. ასეთი სპეციალობაცია ჯერ არ მომხდარა კაცობრიობის სულიერ კულტურაში.

სიტყვა და ენა ჩვენს სქოლასტიკოსებს თითქოს მარტოოდენ ასოდაყოფილ ხმათა შეუწყობათ მიაჩნიათ (сочетаніе членораздѣльныхъ звуковъ): თანამედროვე მეცნიერებისათვის კი სიტყვა აზრის გადამშლელი და გამომხედი იარაღია. როცა სიტყვას ასეთ ფართო მნიშვნელობას ვაძლევთ, შეუწყნარებელი იქნება ვსთქვათ შემდეგი: „სიტყვიერება არის ყოველივე ის ზეპირი თქმულება და ნაწერ-ნაბეჭდი, ნაყოფი ადამიანის ჭკუა-გონებისა, რომელიც კი ხატავს ერისა და ქვეყნის ამა თუ იმ ვითარებას". აშკარაა, „ზეპირი თქმულება" ჴ „ნაწერ-ნაბეჭდი" ასოდაყოფილ ხმებში უნდა ჩამოისხას. მაგრამ ჩვენ ვიცით, რომ აზროვნობა მარტო ასოდაყოფილი ხმებით არ განისაზღვრება: ადამიანი აზროვნობს როგორც წმინდა სიტყვით, ისე ფერებით, ხაზებით, მუსიკალური ხმებითა და სხვადასხვა. აზროვნობა ორგვარია: პროზული და პოეტური. პროზისა და პოეზიის ელემენტებს ვნახულობთ ყოველ სიტყვაში (ფართო მნიშვნელობით). მაშასადამე, თუ გვინდა კაცობრიობის სულის ისტორია შევისწავლოთ, უნდა გავეცნოთ სიტყვისა და ენის ელემენტარულ ფორმებს; უნდა ვისწავლოთ არა მარტო „ნაწერ-ნაბეჭდი, ნაყოფი ადამიანის ჭკუა-გონებისა", არამედ მხატვრულისა და პროზული აზროვნობის ზრდაც, საზოგადოთ: სხვადასხვა ფერში, ხმაში, ხაზში...ყოველგან, სადაც ადამიანის სიტყვა (მიმიკური, მუსიკალური, ვოკალური, არქიტექტურული, პოეტური და სხვ.) შლის ჩვენი „იდუმალი" ქვეყნის ზღა-მოძრაობას. აი, რა ღრმა უფსკრული ყოფილა გათხრილი „სიტყვიერების თეორიასა" და პოეზიისა და პროზის თეორიას შორის! პირველი სქოლასტიკურია: ულაზათო მოქნარებით ნუმრებს აკრავს უკვე გამზადებულსა და გაყინულ ფორმებს, მეორე—მეცნიერულია: ბებიაქალივით უკვირდება აზრის დაბადებას, მის განვითარებასა და სიკვდილს, იკვლევს და ამყარებს სულის ისტორიის ზოგად კანონებს, ერთგულათ დარაჯობს ადამიანის სულის დიად ლაბორატორიას. პირველი ათუთიყუშებს მოწაფეს, აჭკნობს მის ფხიზელ გონებას, უკლავს მას ყოველგვარ ინიციატივას; მეორე აღვიძებს კვლევა-ძიების წყურვილს, აშუქებს პატარა თავს, აგანიერებს და აღრმავებს მოუწყობელი სოფლის მიერ მაგარი ორტახებით შებოჭილს, მიმხმარსა და მილეულ გულს...

გავყვეთ შემდეგ.

„სიტყვიერების თეორიისა და ქრისტომატიის ავტორთ" სიტყვიერება, სრულიად სამართლიანათ ორი მნიშვნელობით აქვთ ნახმარი: ვიწრო მნიშვნელობითა და ფართო მნიშვნელობით. აი, რას ამბობენ უკანასკნელის შესახებ: „სიტყვიერება, ანუ ცოდნა სიტყვის შემწეობით ყოველგვარი საგნისა და სულისკვეთების გამოხატვისა... სიტყვიერება უმაღლესი ხელოვნებაა იმიტომ, რომ შეუძლია ცოტათ თუ ბევრათ ყოველ სხვაგვარის ხელოვნების მაგიერობა გასწიოს: თქმულითა და ნაწერით, ანუ საზოგადოთ სიტყვის შემწეობით ადვილათ შეგვიძლია წარმოვიდგინოთ, რაგვარი შენობაც გვინდა, რაგვარი ქანდაკებაცა გვსურს, შეგვიძლია გავითვალისწინოთ ყოველგვარი საგანი და მოვლენაც, რომელსაც მხატვრობა გვიფერადებს, და, დასასრულ, ის ყოველგვარი მდგომარეობაც სულისა, რომელსაც მუსიკა გვაგებიებს". ეს ალაგი სიტყვა-სიტყვით ბელორუსოვის სახელმძღვანელოდანაა გადმოთარგმნილი. როგორც ვიცით, ბ-ნი ბელორუსოვისა, ეფ. კირიონისა და გრ. ყიფშიძისთვის სიტყვა—გამზადებული აზრის ჩონჩხია, და არა აზრის გამაობიექტებელი საშვალება (средство объективировать свою мысль); ხოლო ასეთი სიტყვით ადვილი კი არა, მეტათ ძნელიცაა, „წარმოვიდგინოთ" და „გავითვალისწინოთ" არქიტექტურისა და მუსიკის ლირიკულ ტალღებში დაბადებული მოვლენა. სულ სხვაა იმის მიზეზი, რომ თანამედროვე სწავლულებს სიტყვიერებითი პოეზია ძირითად ხელოვნებათ მიაჩნია:

უსიტყვოთ კომპოზიტორი ვერ გადმოგვცემდა მუსიკალურ იდეებს, არქიტექტორი—არქიტექტურულს, მხატვარი (живописецъ)—მხატვრულს... არ უნდა დავივიწყოთ, რომ სიტყვა, ფართო მნიშვნელობით, კომპოზიტორს, არქიტექტორს, მოქანდაკეს, მხატვარსა და სხვ. თავში უმწიფდებათ,—ქაღალდზე მას მხოლოდ სიტყვის პოეტი თუ ამოჰრის. ასეთი სიტყვის პოეტები არიან: ჰეინე, გიოტე, პუშკინი, გოგოლი, ტოლსტოი და სხვა და სხვა. უსიტყვოთ, მეცნიერული მნიშვნელობით, ვერ აარსებებს ხელოვნების ვერც ერთი დარგი. სიტყვით, ვიწრო მნიშვნელობით, ვერ გადაუშლით ხელოვნების ვერც ერთ დარგს. მოიგონეთ პირველყოფილი სინკრეტიზმი, სადაც სიტყვა, როგორც მარტო ასოდაყოფილ ხმათა კომბინაცია, არც კი არსებობდა. აქ დიდი მნიშვნელობა ქონდა რიტმს. ამასვე ვამჩნევთ ახლანდელ ლირიკაშიც: ვოკალური და ინსტრუმენტალური მუსიკა, არქიტექტურა, მხატვრობა (აივაზოვის ზღვა, შიშკინის ტყე) რიტმის შემწეობით აწყნარებს და ხვეწს, ან, როგორც ოვსიანიკო-კულიკოვსკი იტყვის ხოლმე, „упорядочиваетъ" ჩვენს გრძნობებს, ჩვენს ფიქრთა ზრახვას. ასეთ ლირიკაში ჩასახული ადამიანის მთელი სულიერი სამეფო—და უბრალო „სიტყვა" ვერაოდეს ვერ შესძლებს მის „წარმოდგენას", მის „გათვალისწინებას". ჩვენი სულის „ყოველგვარი მდგომარეობის" გადმოშლა მუსიკას უფრო შეუძლია, წმინდა პოეტურ ნაწარმოებს—არაოდეს. ასოდაყოფილი სიტყვა და ენა ხშირათ გვღალატობს. ასე რომ არ იყოს, მეტი ბარგი იქნებოდენ გამოჩენილი კომპოზიტორები, უკვდავი არქიტექტორები, მხატვარი-პეიზაჟისტები... მეტის თქმაც შეიძლება: წმინდა ლირიკის მეფე—რიტმი ჩვენს გაცვეთილ სიტყვას ბევრჯერ ქედს ახრევიებს. ამიტომ, თუ პირდაპირ გავიგებთ, უნიადაგოა პოეტის ჩივილი: „o, еслибъ безъ слова сказаться душой было можно". დასკვნა: შესაძლოა „უსიტყვოთ" სულის გადმოშლა, შეუძლებელია „სიტყვით" ყოველგვარი მოვლენისა და მდგომარეობის გათვალისწინება.

კანდე.

პეტერბურგი.

(დასასრული ხვალ).

---

*) „სიტყვ. თეორია და ქრისტ." პირველათ 1898 წ. გამოვიდა, მეორეთ 1908 წ.

**) „Психологія мысли и чувства": Художественное творчество". „Теорія поэзіи и прозы და მრავალი სხვა.

***) „Вопросы теоріи психологіи творчества პირველათ გამოვიდა 1907 წ. ხარკოვში.

****) „Синтаксисъ рускаго языка въ изслѣдованіяхъ Потебны".

**მიღებულია:**
რკინის კოჭები შენობისთვის (Двутавровыя балки)
ნამდვილი ბახმუტის ალიბასტრი.
✦✦ იყიდება ზომიერ ფასათ ✦✦

**სავაჭრო სახლი**
**ი. გოკიელის** შვილების
**ქუთაისში.**

| ბორჯომის წყალი | | თავის ქურქლით. | | |
|---|---|---|---|---|
| | | 1 ბოთლი | 10 ბოთ. | ყუთი |
| | ½ | 25 კ. | 2 მ. 40 კ. | 11 მ. 50 |
| | ½ | 16½ კ. | 1 მ. 60 კ. | 15 მ. 75 |
| ნარზანი და ესენტუკი № 20 | ½ | 14½ კ. | 1 მ. 40 კ. | 13 მ. 50 |

დეპოლამპეულის, ჭურჭლეულობის, ავეჯეულობისა და შპალერის ქ. ქუთაისში.
**ფ. ს. ფილიპოვისა.**
ალექსანდრეს ქუჩა
მოეპოება ყოველთვის ელექტრონის მრავალგვარი არმატურა და მისი მოწყობილებანი, ყოველნაირი საოჯახო სამკაული: ნავთის სამოვრები, ღუმელები (ფეჩები), სამზარეულოები, ტაკზე საფენი „ლინელიუმი", სამუსიკო ინსტრუმენტები (საკრავები), საეკლესიო სამკაული და მრავალგვარი მეირფასი საოჯახო ნივთი, აუარებელი ასარჩევი ნიმუში, შპალერის ფი 2 შაურიდან ვიდრე მანეთნახევრამდი. ფასები ყოველი კონკურენციის გარეშე.
პატივისცემით ფ. ს. ფილიპოვი.


...რე დღეს დილით ადრე გავუდექით გზას. ტანჯვა... შიში... უბედურება... ხან მაღლა მივდივართ, ხან სულ მაღლა... ბინოკლითაც ვერ დაინახავთ ძირს აქაფებულ მდინარე ენგურს... ხან სულ ძირს დავეშვებით... თითქმის გავუსწორდებით მდინარეს, გაშლილა ხეობა. მაღლიდან სცვივა ჩანჩქრები კი არ ვარდება... იცრება-სცვივა... მშვენიერი სანახაობა... წარმტაცი ბუნება... მავიწყებს გამოვლილს ჯოჯოხეთს. დღე კარგია... მომხიბვლელია, ბუნება გრილა... საამურათ გრილა. ხმელა პურიც გემრიელია, სიტკბო მისცემია... აქ ჩამოქცეულა კლდე... ერთხან გზა ფართოა. იქ კი ვიწრო, ძლიერ ვიწრო... ჩემი „კოკია" მიდის, და მიდის... არც ბუნება ხიბლავს, არც არაფრის ეშინია... ხშირათ ვკარგავ სულის სიშვიდეს... თითქმის ყოველ ას საჟენზე მიხდება ჩემი „კოკიიდან" გადმოხტომა... ხან შიში, ხან მხიარულება გადარჩენისათვის... ორჯერ, იცით, რა დამემართა? ცრემლები მომერია ნამეტანი სასოწარკვეთილებით, დავიწყევლე ბედი... დავსწყევლე ქვეყანა, დავგმე ღმერთი. დიახ, ვიტირე, ცრემლები მომერია, მაგრამ... საკვირველი რა არის ქვეყანაზე. მალე მივატოვებ სვანეთს... იმერეთში ყოფნის დროს მატარებლის მესამე კლასი, რომ აუტანელი მეგონა და ხანაც მორე კლასით დავბრძანდებოდი, აწ მეოთხე კლასშიც დიდ სიტკბოებას ვგრძნობ... მოდი და ნუ იგრძნობ:—ოცი მაისია და მთელი დღე სთოვს.. მიდამო მთებში ხომ კვირკობ-მარიობისთვეში სთოვს.

ვარ. იმერელი

## ზემო იმერეთი.

**ცხრუკვეთი** (შორ. მაზ.) სოფ. ცხრუკვეთი მდებარეობს დ. ჭიათურიდან 8—10 ვერსზე, სამხრეთით. მიწის მოსავალი კარგი იცის, მაგრამ წელს, როგორც სხვაგან, გვალვების გამო მთლად გადამხმარია ყანები. სამი წელიწადია აქ არსებობს ერთკლასიანი სამინისტრო სასწავლებელი, რომელიც აქამდი მოთავსებული იყო აქ. ვასილ წერეთლის სახლში. მიუხედავათ იმისა, რომ ბ. ვ. წერეთელმა, ერთი წლის წინათ გამოაცხადა სახლი მე მჭირდება, და ან იყიდეთ, ან სხვაგან იქირავეთ ხალხი, სახლის ძებნის თავდარიგს არ შეუდგა, რის გამოც, წელს, ამ შკოლის მდგომარეობა გამოურკვეველია. ამ სამ წელიწადში ათჯერ მეტჯერ შეიკრიბენ, ათჯერ მეტი სხვადასხვა გადაწყვეტილება გამოიტანეს, ათჯერ გაურიგდენ სახლის აშენებას, მაგრამ ვერ იქნა, საქმეს თავი ვერ მოაბეს. წელს შკოლა იქნება თუ არა გამოურკვეველია.

თორმეტ აგვისტოს ამ სოფლის მცხოვრებმა ილია ბიწაძემ თავის სახლს, რომელშიც მისი გიჟი ძმა იყო დამწყვდეული, ნავთი გადაასხა და ცეცხლი წაუკიდა.

ამ სურათის მნახველმა დედამ კივილი გააბა. მეზობლები მიცვივდენ და გადაარჩინეს კაცი, სახლი ნახევარი კი დაიწვა.

## ქართული თეატრი.

21 აგვისტოს ბარველის რეჟისორობით ქალაქის თეატრში წარმოადგინეს „შენი ჭირიმე" და „უბედური დებიუტი". ამ საღამოს სცენაზე ბევრი უცნობი მოთამაშე დავინახეთ. ამ გამოუცდელ მოთამაშეებისათვის კი პასუხის საგები და მთავარი როლები მიეცათ. ამით აიხსნება რომ პიესა ძალიან სუსტათ ითამაშეს. სუსტათ თამაშობდენ ნამეტურ ქალები. სცენაზე ამგვარი მოთამაშეების გამოყვანა ეს სცენის, მეტი რომ არ ვსთქვათ, სახუმროთ აღებაა. ასეთი მოთამაშეების სცენაზე გამოყვანა ქუთაისში ისეც შეფერხებულს ქართული წარმოდგენების საქმეს დიდ ზიანს მოუტანს. სასურველია, ასეთი რამ აწი მაინც არ განმეორდეს და უპატრონოთ დარჩენილს ქუთაისის ქართულ თეატრს უფრო ბეჯითი გულშემატკივარი გაუჩნდეს კერძოთ, რაკი დრამ. გამგეობამ კალთა დაირეკა ამ საქმიდან.

## ღია წერილი.

(პასუხათ ვლადიმერ ხვედელიძეს).

ბატონო რედაკტორო! უმორჩილესათ გთხოვთ დაუთმოთ ადგილი შემდეგ წერილს, რომლითაც მსურს აღვნიშნო, რომ ბ. ხვედელიძის „ღია წერილში" (4 ივლ. № 94 გაზ. „იმერეთი") მოყვანილია ცნობა, რომელიც სრულიად ჭეშმარიტებას მოკლებულია. ის ამბობს თავის წერილში „დ. ჩხეიძემ მრავალჯერ მოგმართათ წერილობით მოგეწოდებიათ სათვისტომოს გამგეობისთვის საჭირო საბუთები"... და სხვა...

მე პირადათ დ. ჩხეიძიდან არავითარი ცნობა არ მიმიღია. აგრეთვე აქამდი არ ვიცოდი, რომ ბ. ხვედელიძეს „ყოველგვარი კულტურული ზომებისთვის მიუმართავს ჩვენ შორის ატეხილი ინციდენტის გამოსარკვევათ". არ მესმის, აგრეთვე, რომელ „ინციდენტზე" ლაპარაკობს ბ. ხვედელიძე: თუ ის გულისხმობს იმას, რაც მერვე კლასში 1911 წ. მოხდა მუერომცევის თაობაზე, როდესაც რამდენიმე მოწაფე დაითხოვეს გიმნაზიიდან, მე არაოდეს არ მითქვამს უარი და ყოველთვის მზათ ვიყავი (ახლაც მზათ ვარ) იმის გამოსარკვევათ.

დარწმუნებული ვარ—კოლია კანდელაკი, ალექსანდრე ქირთაძე და სხვები, რომელნიც კავკასიაში იმყოფებიან, შესაფერ პასუხს გასცემენ ბ. ხვედელიძეს, თუ კი ის თვითონ მოისურვებს მათთან პირადათ მოლაპარაკებას. აგრეთვე ზემოაღნიშნულ პირებთან მოლაპარაკებით დ. ჩხეიძეც დაწვრილებით გაეცნობა საქმეს; მე კი ამ ჟამათ მოსკოვში ვიმყოფები.

ვსევოლოდ კაპანაძე.

## წერილი რედაქციის მიმართ.

ბატონო რედაკტორო! უმორჩილესათ გთხოვთ თქვენი გაზეთის საშვალებით მოგვცეთ შეძლება ულრმესი მადლობა გამოვუცხადოთ ბ. აბრამ კვირკელიას, რომელმაც ლანჩხუთის უფასო სამკითხველოს ყოველკვირეული სამეურნეო საოჯახო ჟურნალი „სასოფლო გაზეთი" შემოსწირა. აგრეთვე ულრმეს მადლობას ვუცხადებთ აკაკი კვიტაიშვილს, რომელმაც შემოსწირა ამავე სამკითხველოს ეკატირინე გაბაშვილის ქალის თხზულებანი.

გამგენი: { დვდ. ი. ჭუმბურიძე. / თ. სიხარულიძე. / ი. ბარამიძე. }

რედაკ.-გამომცემელი გრ. ერ ჭელიძე.


**რკინის გზა**

**ქუთაისიდან მიდის.**
**თფილისს:** სახალხო 5 ს. 10 წ. დ.; სახ 10 ს. 6 წ. დ.; ფოშტ. 11 ს. 55 წ. დ.; სახ. 11 ს. 27 წ. ღ.
**ბათომს:** სახ. 5 ს. 10 წ. დ.; სახ. 7 ს. 5 წ. საღ.; სახ. 11 ს. 27 წ. დ.; ფოშტ. 5 ს. 21 წ. დ.
**ფოთს:** საავგარაკო 4 ს. 22 წ. დ.; სახალ. 5 ს. 10 წ. დ.; ფოშტ. 5 ს. 21 წ. საღ.; სახ. 7 ს. 56 წ. საღ.
**შორაპანს:** საავგარ. 4 ს. 57 წ. დღ.
**ტყიბულს:** სახ. 7 ს. 50 წ. დილ.; სახ. 45 წ. დღ.

**ქუთაისს მოდის.**
**თფილისიდან:** სახ. 7 ს. დილ.; სახ. 8 ს. საღ.; ფოშტ. 6 ს. 56 წ. სახ. 1 ს. 26 წ. ღამით.
**ბათომიდგან:** ფოშტ. 1 ს. 20 წ. დღ.; სახ. 14 წ. დ.; სახ. 1 ს. 26 წ. დ. 7 საათ. დილ-
**ფოთიდან:** საავგ. 10 ს. 3 წ. დილ.; სახ. 20 წ. დ.; სახ. 1 ს. 26 წ.
**შორაპნიდან:** საავგ. 9 ს. 31 წ. დღ.
**ტყიბულიდან:** სახ. 5 ს. 11 წ. დღ. სახ. საათ. 9 წ. დილ.

ქ. ქუთაისში (სობოროსთან
**ა. თაბაგარის მაღაზიაში**
20 ივლისიდან დანიშნულია
**დიდი იაფი ვაჭრობა**
ველოსიპედების და სხვ.



ამასთანავე მიღებულია დიდძალი საკერი, საქსოვი და საწერი მაშინები, გრამაფონები და მათი მოწყობილობა.
●●◘ ფასები ძლიერ დაკლებულია ◘●●

ხრესილი
**სამკურნალო აბანო**
მეირფასი მთის აერზე
ძმ. ყორყოლაძეების
მზგავსი თვალით იხილეთ და დარწმუნდებით.

შემოწმებულია და გამოირკვა, რომ ეს მადნეული წყალი კურნავს სხვადასხვა სენისაგან, როგორც არის: ქარები (რევმატიზმი) კუჭისა და თავის ტკივილი, ნერვების სისუსტე და სხვ. წყალი ცივი და თფილიც. აქვეა სუფთა ბინა და სასმელსაჭმელი, აბანო მუდმივ განაგრძობს მუშაობას. ხრესილის სადგურიდან დაშორებულია ორმოცდაათი საჟენის მანძილზე.

**ამ შემოდგომაზე ჭურებისთვის დაგჭირდებათ**
**საუკეთესო ცემენტი,**
რომელიც შეგიძლიათ იშოვოთ მხოლოდ
**ძმ. ე. და პ. საკაშვილების სავაჭროში**
**ქუთაისში** პუშკინის ქუჩა საკუთარი სახლი. იქვე იყიდება: სახლის სადებავი მასალები, შპალიერი, კარისა და სარკმლის მოწყობილება და სხვა მრავალი საქონელი.

**საუკეთესო საკვები ცხენებისათვის და საქონლისათვის.**
**„პატოკსან".**
„**პატოკსან**" შეიცავს 42 პროც. შაქარს (სრულიად რუსეთის შაქრის მრეწველთა ლაბორატორიის ანალიზი № 640.
„**პატოკსან**" საუკეთესო საშუალებაა საქონლის ღონის შერჩენისათვის და შემატებისათვის (მოხსენება აქ. იოტეიკოსი ლიეჟის შაქრის მრეწველთა კონგრესზე).
„**პატოკსან**" ხელს უწყობს საქონელს და ცხენებს საჭმლის მონელებაში, რაც თავის რიგათ ეხმარება შრომის უნარისა და სიცოცხლის უნარის შემატებას.
„**პატოკსან**" ხელს უწყობს რომ რძის მომცემ საქონელს რძე გაუუმჯობესოს და დღიური ნაწველიც გაადიდოს.
„**პატოკსან**" თავის ნოყიერების გამო ძალიან მარგებელია და ეკონომიური საჭმელი.
ვინც მოისურვებს გაეგზავნება ერთი ფუთი 1 მ. 20 კ. გაგზავნის ფასს ვიხდით ჩვენ. გაგზავნის დროს ყოველგვარი ცნობა და მომხმარებლების აზრი უფასოთ იგზავნება ამიერ კავკასიისათვის.
ერთადერთი წარმომადგენელი ამიერ კავკასიისათვის **„გეორგი რუსინოვ და ამხ."** თფილისში ვერის დაღმართი № 12 ტელეფონი 11—37 და 11—77. დეპეშით მისამართი: „რუსინოვს თფილისში".

**ჭრა-კერვის სპეციალური სახელოსნო**
ვღებულობ ქალთა ყოველგვარ ტანსაცმელს შესაკერათ, ხელმისაწვდომ ფასათ. შეკვეთილს ვასრულებთ თავის დროზე და პირნათლად.
**მისამართი:** თფილისის ქ. ქალაქის აფთიაქის პირდაპირ, ჯაშიკოვის სახლი.
პატივისცემით საშა ჭუმბურიძე.

**გ. მორდამის და ს. წერეთლის**
ერთადერთი წარმომადგენელი ქუთაისის გუბერნიაში, ბათომის და სოხუმის ოლქ. უმაღლესი სასახლის გოფმეისტერის, იური სტეფანეს ძის ნეჩაევ-მალცევის ბემსკის მ. ბის ქარხნისა, მიაქციეთ განსაკუთრებული ყურადღება მინის ყუთზე ნიშანს „БЕМСКО"
**რკინეულობის მაღაზიაში იყიდება:**
საუკეთესო ქარხნებისგან
**მიღებული რკინეული**
საქონელი: კარის, ფანჯრის და ღუმელის მოწყობილობანი; სადურგლო ხელსაწყობი, ფანჯრის მინები, რკინის ნიჩბები, ლურსმანი, მავთული, ყოველგვარი სადებავი წამალი, ელექტრონის ზარის მოწყობილებანი, შპალიერი, ცემენტი, ემალიანი ჭურჭლები, ასფალტი და სხ.
**ვაჭრობა პარტიით და წვრილათ ხელმისაწვდომ ფასათ.**
ქ. ქუთაისში, საკუთარ შენობაში, მიხეილის ქუჩაზე № 65.


ელექტრო-საბეჭდავი ფერაძისა და კარნაუხოვის ქუთაისში.